# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 373 — ხუთშაბათი, 19 იანვარი 1906 წ. — გაზეთის № 2982

# დანგრეული ყორე

(დასასრული *)

ზღვა კვლავ მიჩუმდა...

ძლიერი, ძველი ტალღები ქვესკნელში მოჰყვნენ. ქარი არ ალვიძებს იმათ და არც გრიგალი იძახის... ნორჩი ტალღები პირქუშად ტრიალებენ,—არ ისმის არც სიცილი, არც სიმღერა ნანატრ თავისუფლებაზე... მზე პირქუშად დაჰყურებს და ცაც ირგვლივ მოღრუბლულია, აჴრელებული...

დრო-და-დრო მხოლოდ, მარტოობაში დაძმარებულნი, ნორჩი ტალღები ერთდებიან და საბრძოლველად ემზადებიან.

შეერთებულნი, შემოკრებილნი წვეტიანს კლდეებს მკერდებს ახეთქენ.

მაგრამ... ამაოდ!.. უსულო ხროვა აღარ იძვრის... მხოლოდ ისმის მიყრუებული გმინვა გუგუნი... ეს ჰიმნია მკერდგანგმირულის მებრძოლებისა...

ზღვა კვლავ ტიროდა.

დრო გავიდა.

ბევრმა ნორჩმა ტალღამ დაახეთქა გულმკერდი წვეტიანს კლდეებს...

ირგვლივ უფრო და უფრო ბნელდებოდა...

მიჩუმდნენ ტალღანი... „მოვიცადოთ, ღონე მოვიკრიბოთ:..“

წლები გადიოდნენ..

ნორჩი ტალღები გამაგრდნენ, მდევარი აფრინეს ყოველის მხრით მძინარეთა გასაღვიძებლად.

მდევარნი დაეშვნენ ზღვის ქვესკნელშიაც ბებერ ტალღებთან, საბრძოლველად დასაძახებლად..

ბებერი ტალღები ღრეჯით ჰკლარა თავს აქნევენ:

„ არა გვაქვს ძალა, არა გვაქვს ღონე.. რითი ვიბრძოლოთ. კლდეებს სად ვეომოთ?“

ტალღა-მდევარნი ასწრაფლ გაჰქანდნენ მშობელ-ქარისა, მშობელ გრიგალის დასაძახებლად... ზღვაში—ეძებე ველარა ნახეს. მთის ხეობებში ნახეს შემდეგში.

„სალამითა და მოკითხვითა მოვედით თქვენთან, მშობელო, მდევარნი! დასტოვეთ ვიწრო მთები, უსივრცო ზღვისკენ გამოიფრინეთ. დაანგრიეთ სამარცხვინო ჯაჭვი, რომლითაც შეხუთულია სული ჩვენის ძმებისა! შთაბერეთ ახალგაზრდა ტალღათ სული სიცოცხლისა და წყურვილი თავისუფლებისა! შეჰკრიბეთ მრისხანე ძალები და გაექანეთ რწმენით კლდისაკენ. არ გვეშინიან ბრძოლის, სიკვდილის... ზღვა განთავისუფლდეს... მხოლოდ!.“

გული აუხმაურდა ქარს, სისხლი აენთო გრიგალს...

მდევართა სიტყვებმა გაახსენეს საოცნებო წარსული წლები.

მთის ხეობებით უსივრცო ზღვაში გაისმის მედგარი ხმა მოწოდებისა:

„მოვდივართ! მოვდივართ! მოვდივართ! თავისუფლება უნდა ვიხსნათ! თავისუფლება უნდა ვიხსნათ! თავისუფლება უნდა ვიხსნათ! აღსდეგით, მედგარო ტალღებო! დალეწეთ ჯაჭვი თავისუფლების შემხუთველი..“

მედგარი იყო ეს ბრძოლის ხმა. ვითა გრიგალი, ვით გრგვინვა ზეცის, ისე გაისმა ზღვისა უფსკრულში...

*) იხ. „დამატება“, № 372.

ტალღები ტრიალებდნენ, ღელავდნენ, სრიალებდდნენ— ამ მოწოდების მონა-მორჩილნი..

„აღმოსავლეთიდან დასავლეთით, სამხრეთიდან ჩრდილოეთით გროვდებოდნენ ტალღები ბრწყინვალე რაზმებად...

ელვასავით გაიქროლა ქარიშხალმა; გრიგალმაც მხარი მისცა.

ქარმა დაიღმუვლა, გრიგალი აქოთქოთდა.

ბრძოლა დაიწყო.

„წინ, მამაცო ტალღებო; სიკვდილი ან თავისუფლება!“— ეს ბრძოლის ხმები შავს ყორესაკენ მედგრად გაისმა.

შეჰკრთნენ ყომრალო კლდენი. ახლოსაა ტალღები... სწრაფად, სწრაფად მისცურავენ გულ-მკერდით მტრისკენ, ეცნენ კიდევაც—თავი შეაკლენ...

წინწკლები ქაფისა, სისხლივით მდუღარესი, მაღლა ხტებოდნენ, ყრუ კლდეებს რეცხდნენ...

ქარი მოსთქვამს: „შვილებო! სისხლ-ხორცო შვილებო! დაიხოცენით... ეგ ასე არის... მაგრამ მაინც დავანგრევთ ყორეს!..“

ზღვა ბობოქრობს.

დაღუპულთ მაგივრად ახალი ტალღები მორბიან.

რა მრისხანენი არიან, რა მედგარნი! გრიალითა და ყვირილ-გრგვინვით გულ-მკერდს ახეთქენ წვეტიანს კლდეებს... უკან გარბიან... ძმებს უძახიან შემწეობისთვის.

კლდენი მაგრობენ... ამაყად დგანან.

დადგა დილა, მოღუშული, კაეშნიანი. კლდენი ისევ პირქუშად გაშეშებულან, ისევ დაჰქროლავს მიდამოს ქარი. ტალღები ეხეთქებიან მრისხანე კლდესა მედგარნი, თავ-განწირულნი და... იღუპებიან...

მაგრამ რწმენითა, მაგრამ იმედით სულ-სულ ახალი მოსრიალებენ ზღვისა ტალღები. არც საზღვარი უჩანს, აღარც სათავე მრისხანე ტალღებს...

ზღვა მოშორდა ნაპირებს; ტალღები ერთ ადგილას მოჰყარა და მრისხანე რაზმებად დააწყო. გრგვინვა და კვნესა ისმოდა.

თვით ის, რომელმაც ყორე ამართა ზღვაზე, შეძრწუნდა ამ სანახაობით... შეთრთოლდა ულმობელი გული მისი ტალღების მედგარ იერიშზე, სურს უშველოს საქმეს!

მაგრამ გვიანღაა! ტალღები აღარ ტირიან! ტალღები აღარ თხოულობენ!

შერიგება შეუძლებელია!

ვით მრისხანე ლომი, ბებერი ტალღები ახალგაზრდებისკენ გამოჰქანდნენ! თეთრი ფაფრები აიყარნეს!..

დედა-მიწა შეიძრა... ჩამობნელდა... გრიგალი ზღაპრულის სისწრაფით ახეთქს ტალღებს ჯიუტს ყორეს..

და საოცარის გაბედულებით არის კივილზე მორბის, მოსრიალებს ახალი რაზმი...

გარშემო ჰგრძნობენ: ან დაინგრევა პირქუში ყორე, ან და მეომართ იქ გაეთხრებათ ბნელი სამარე.

ერთხმად დასჭყივლეს... ეხეთქნენ ყორეს..

მძლავრ იერიშზე ყორე შეინძრა.

ტალღები მიჩუმდნენ. უკან გასრიალდნენ... ისევ სიშმაგით ეცნენ ხელ-ახლა...

გრიალი, კვნესა ისმოდა ზღვაზე.

ყორე დაინგრა..

ბოლო იერიშზე დანებდა იგი, კვნესით და გმინვით გადაეჩეხა ზღვისა უფსკრულში, იქ, სად სამარე გაეთხარათ დაღუპული ტალღებს...



მებრძოლ რაზმების ბარიკადა, გამართული დეკემბერში მოსკოვის ერთ ქუჩაზე.

„შორს, საზიზღარნო ლეშნო!“ —დანგრეულ კლდეებს ზღვა ულრიალებს:

„აქ საფლავია უშიშარ გმირთა, ბრძოლის ველზე გამწყდარ გმირთა, აქ ახალგაზდა ტალღები მარხია..“

ზღვის უფსკრული გაიღო და ბნელ უფსკრულში წყევა-კრულვით ჩაეშვა ყორე...

უსივრცო ზღვა განცხრომაშია. მან დაიმარცხა მრისხანე ძალა...

ტალღები თავისუფლად დასრიალებენ და ალტაცებით დალუპულ მეომართ ადიდებდნენ...

მ. კინწურაშვილი

---

# ქღსდმა სიმღერა

(თარგმანი)

ილოცეთ მგოსნისთვის (სახელი წაშლილია). მთელი ხუთი წელიწადი გაატარა მგოსანმა საპყრობილეში და განთავისუფლების დღეს ნახეს მხოლოდ იმისი ცივი გვამი, ნაზად პირ-მომღიმარე· ღმერთმა ბოლოს მოიგონა იგი და გაანთავისუფლა ტყვეობისაგან*)

## I

## მიწურში

მგოსანს კარგად ახსოვს ის წამი, როცა საპყრობილეში მიიყვანეს. ბინდით გარემოცულს მას უბრწყინავდა მხოლოდ ის რაღაცა ციური, ტურფა, ნაზი. ტუსაღს კარგად ახსოვს ძველ სასახლის ფილაქნიანი ეზო იმდილით, როცა ახლად ამოსულ მზის მიერ ცელქად გამოტყორცნილი სხივები არა ჩვეულებრივ ელ-ფერს სდებდნენ არე-მარეს; ლურჯად მოკამკამე ცა მშობლიურის ალერსით დასცქეროდა ცოდვილ დედამიწას; ცელქი ნიავი ნაზად ეკონებოდა ხის ფოთლებს, და მერე, ვით საყვარელი, გაურბოდა ამ ფოთლებს მინდორ-ველისკენ. რაღაც საიდუმლოებით მოცული შრიალი შორს-შორს სადღაც იტაცებდა ადამიანის ოცნებას.

აქამდის არ დავიწყებია საწყალ ტუსაღს მშვენიერ ყვავილთა სუნი; აქამდის ყურში უდგას თავისივე ფეხის ხმა, რომელიც ყრუთ გაისმოდა ციხის ქვის ფილაქანზედ; და მერე... მერე... აგონდებოდა თვალწარმტაცი, მიმზიდავი, მომხიბლავი შუქი; ეს შუქი კედლის გამონგრეულიდან ჩუმად შეპარულიყო ციხეში, რომ ცოტათი მაინც ენუგეშებინა ტუსაღნი.

ტუსაღი შესდგა, შესდგნენ დარაჯნიც, თითქოს მიხვდნენ, რომ იგი საუკუნოდ ესალმებოდა სინათლეს, თავისუფლებას, ცას, სიცოცხლეს და სიმღერას, იმ სიმღერას, რომლისთვისაც აქამდის სცოცხლობდა. ამ გამონგრეულიდან შედიოდა ზღვის გრილი, დამამშვიდებელი სიო. სიო თმას უშლიდა და ნუგეშის ნიშნად ალერსით ევლებოდა თავს. მგოსანი ხარბად გაიცქირებოდა შორს სივრცისკენ. იქ იმ მშვენიერ სივრცეში მოსჩანდა ლურჯი, მოკამკამე ცა, უზრუნველი ჩიტები თავისუფლად და მხიარულად დაფრინავდნენ სუფთა ჰაერში. ძირს-კი, ზღვის პატარა ზვირთები, ჩუმის ბუტბუტით ეალერსებოდნენ ნაპირს. აგერ შორს გამოჩნდა გემი...

— დროო!—სთქვა ყარაულმა და ტუსაღს მხარზედ ხელი დაადო.

ოჰ, კარგად ახსოვს ეს უკანასკნელი წუთები! ერთ კლდის ძირში ობლად ამოსულიყო ლამაზი ყვავილი. წვიმის წვეთები ასაზრდოვებდნენ, მხურვალე მზეც არ აკლებდა თავის ალერსს. მგოსანმა გაიწოდა კიდეც მისკენ ხელი, რომ მოეგლიჯა და წაეღო საპყრობილეში, ნიშნად სიცოცხლის უკანასკნელ წუთების მოგონებისა, მაგრამ შესდგა·.·. შეეშინდა.. რად უნდა მოაშოროს თავისუფლებას, მხურვალე მზეს, როცა იმ ნესტიან საპყრობილეში თვით მზის ცელქ შუქსაც კი არც ერთხელ არ შეუხედნია!.

საპყრობილეს კარებთან ისევ იმ ბებერმა ყარაულმა შეაყენა აკანკალებულის ხმით:

— მაპატიე, ძმაო, მაგრამ მიბრძანეს ფანდური გამოგართო.

— წაიღე, სჯობია! —გაიფიქრა მგოსანმა და დახედა თავის საყვარელ ფანდურს.

ამ ფანდურს, ვით მეგობარს, გულში იკრავდა· ჰფიქრობდა, რომ ფანდურის ტკბილი ხმა გაუქარწყლებს დარდს და ვარამს საპყრობილეში. მგოსანმა ვედრებით შეხედა დარაჯს, მაგრამ მოაგონდა, რომ იგი ყურმოჭრილი ყმაა და... დაახეთქა მიწაზედ თავის მეგობარი· დაიმტვრა ფანდური, დასწყდა სიმები—ამასთან ერთად მგოსანს რაღაც ჩასწყდა გულში და სტკივა, სტკივა ეხლაც კი, თუმცა მას შემდეგ ბევრმა წელიწადმა გაიარა·

მძიმედ გაიღო საპყრობილეს კარი. ვიღაცამ სანათი აანთო სინათლეზედ უფრო შავად, უფრო ნესტიანად მოსჩანდა კიბეები. ქვეით გამოჩნდა ჩრდილი, რომელიც ნელ-ნელა უახლოვდებოდა მგოსნის ოთახს.

— სანათს დაგიტოვებ!—წარმოსთქვა დარაჯმა და ჩამოჰკიდა სანათი ლურსმანზედ,—მშვიდობით!

ტუსაღი მიტრიალდა. ხედავდა, როგორ მიდიოდნენ დარაჯნი კიბეზედ, როგორ ჭრიალით იღებოდა კარები, საიდანაც

*) ეს წარწერა ნახეს კალაბრიაში, ძველ საფლავის ქვაზე, მეფე როჰერის სასახლეში. წარწერა აღმოაჩინეს ამ მოთხრობის ავტორის იქ ყოფნის დროს.

სინათლე მოსჩანდა. დარაჯები ნელ-ნელა ადიოდნენ კიბეზედ. ერთი... ორი... სამი...—სთვლიდა მგოსანი. უკანასკნელმა მოიხედა იმისკენ, მაგრამ ისევ ჩქარა გასწია ზემოთკენ. ირგვლივ ყველაფერი მიწყნარდა. სინათლეც გაჰქრა. აქ კი მგოსანი უღონოდ დაეცა ქვის ხეობზედ და გახურებული შუბლი ცივ ფილაქანს მიადო, თითქოს იმას სთხოვდა შემწეობას და შებრალებასაო. მგოსანმა იცის, რომ იქ, ზემოდ, მკაცრმა ბატონმა არ იცის შებრალება. მეტად ძლიერი იყო მგოსნის სიმღერა, მეტად გულ-მოდგინედ უგდებდნენ ყურს ტანჯულნი მსახურნი იმ საწყალ, ღარიბ სოფლისა, რომელსაც სასტიკად დასცქეროდა ბატონის მედიდური სასახლე. მგოსანი ხედავდა, ამ სიმღერის გაგონებაზედ რა-რიგ იჭმუხნებოდა ბრძანებლის სახე, რადგან მგოსანი სხვებსავით არ აქებდა იმის ვაჟკაცობას და მამაცობას. არა მგოსანი არ აქებს იმას, ვინც მონობაშიართმევს ხალხს სულს, ვინც ხალხის სისხლსა სწოვს მგოსანი თავდავიწყებით მღეროდა არწივის შესახებ, რომელიც თავის კლანჭებში ისეშეუბრალებლად სტანჯავდა ჩიტებს; მღეროდა იმ ტანჯულთა შესახებ, რომელნიც ასობით ეყარნენ ბნელ ნესტიან საპყრობილეში. შორს, საუცხოვო მომავლიდან იწყებოდა იმისი გამაცოცხლებელი სიმღერა. დღეს დილითაც, სანამ აქ მოიყვანდნენ, სასახლის დიდ ოთახში მოაგონდა გუშინდელი, საზარელი აწიოკება ხალხისა და გულმა ცემა დაუწყო. წამოავლო ფანდურს ხელი და ჯერ ნელის, მერე კი უფრო აღტაცებულის ხმით დაიწყო სიმღერა, რომლის თითო სიტყვაში წყელვა და კრულვა ისმოდა. ახსოვს მგოსანს, რა სიტყვებითაც დაათავა თავისი სიმღერა:

დიდება იმას, ვაშა მის სახელს,
ვინც მუშა კაცად დაბადებულა
და შრომა მისი პატიოსანი
სამშობლოსათვის არ დაკარგულა!

—

მაშ ნუ შედრკებით ოჰ, მეგობარნო,
ნუ, ნუ დაჰკარგავთ გაბედულობას;
ადრე თუ გვიან, ტანჯული ხალხი,
გულში ჩაიკრავს თავისუფლებას!

აქ შეხედა მგოსანმა მბრძანებელს და მიხვდა თავის დაღუპვას. იგი დინჯად გამოვიდა გარედ, რომ უკანასკნელად მაინც დამტკბარიყო ტურფა ბუნებით და სუფთა ჰაერით, რადგან უკან დარაჯები კიდევ მისდევდნენ.

## II

## ს ა ნ ა თ ი

როცა მგოსანი გამოფხიზლდა, სანათმა ძალიან შეაკრთო. სინათლე თან და თან ერეოდა სიბნელეს და იფინებოდა ირგვლივ. ის, ვით ცოცხალი ინძრეოდა, იცქირებოდა კუთხესა და ჯურღმულებში. ტუსაღი შიშით და თანაც რაღაცა გამოურკვეველის სიხარულით უცქეროდა სანათს, კარგათ იცოდა რომ სინათლე მალე ჩაქრებოდა და სიბნელე გამეფდებოდა. ამიტომ ხარბათ დასწაფებოდა სინათლეს, რო ერთიან შთაენთქა იგი. ასე მთელი საათი უცქეროდა ტუსაღი სანათის ციმციმს. ეხლა მარტოდ აღარა ჰგრძნობდა თავს; მერე კი, მერე, როცა ეს სინათლე ჩაქრება, დარჩება მარტოდ-მარტო, რიღაც უხილავის ძალით ჩამწყვდეული კლდის გულში. მაშინ, მხოლოდ მაშინ დაიწყება იმისთვის ნამდვილი დღეები.

რისთვის? რისთვის?—იმეორებდა მგოსანი;—რისთვის?

აქ წარმოუდგებოდა ხოლმე თვალ-წინ მთელი თავისი ცხოვრება. ასწავლიდნენ სიმართლისთვის სამსახურს—ისიც ემსახურებოდა... ეს მას ასწავლიდნენ მოყვასის სიყვარულს—და ისიც იყვარებდა. ასწავლიდნენ თავის მბრძანებლის პატივის ცემას, და პატივსა სცემდა, არ უღალატნია არც ერთხელ; პირიქით, უგალობდა სიმართლეს, ხალხის სიყვირულს, მაგრამ ეხლა, როგორ გაჩუმებულიყო, როცა ხალხი იღუპებოდა ბატონის ცხენის ნალები სთელავდა ხალხის ყანებსა და ვენახებს? როცა გონება დაბნეული ხალხი შიშით აქეთ-იქით მირბოდა, რადგან არ ინდობდნენ დიდსა და პატარას, ქალსა და კაცს? ღმერთმა მიანიჭა სიმღერის ძალა, მგოსანიც სულით და გულით ემსახურებოდა ამას.

— რისთვის? რისთვის?—კიდევ იმეორებდა თავისთვის მგოსანი და დაღონებული უცქერდა მიმკრთალ სინათლეს.

შუქი თან და თან კრთებოდა, სიბნელე უფრო მძლავრად იფინებოდა ოთახში და, აი, საცაა ჩაიგდებს კიდეც ხელში ნაზად მოციმციმე შუქს. კუთხეებში უკვე სიბნელე გამეფებულიყო. არავის ისე ტანჯვით არ უცქერია სინათლის მისუსტებისთვის, არავის ისეთი შიში არ გამოუცდია მეგობრის სიკვდილის მოლოდინში, როგორიც ეხლა მგოსანმა, რომელიც თვალცრემლიანი უცქეროდა მომაკვდავ სინათლეს; მაშინ კი... მაშინ, როცა, დიდიხნის ტანჯვის შემდეგ, სინათლე წყნარად ჩაქრა და უკანასკნელი მოალერსე შუქი კიდევ მიაბნია მგოსანს, მაშინ პირველად გაისმა სატუსა-



პოლიცია შლის ხალხის კრებას პუტილოვის ქარხანასთან.

ღოში ტუსაღის მწარე ქვითინი. ირგვლივ გულ-შემხუთავი სიბნელე გამეფდა, მხოლოდ თვალ-დახუჭულ მგოსანს კიდევ ეჩვენებოდა სინათლის ნაზი ციმციმი და ბრძოლა სიბნელეს-თან. ამ დროს თავზედ რაღაცა უხილავი ძალა დასტრიალებდა.

(დასასრული იქნება)




ოფიცრების ნაყიდი შაქარი დარაჯებით მიაქვთ, რომ გზაზე არ წაართვან, რადგან ტფილისში შაქრის შიმშილია.




ახლა ისეთი დრო დადგა, რომ ყველაზე უშიშარია მუშტაიდში წასვლა და იქ სათევზაოდ ჭიაყელების ძებნა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. გ. ჯაბადარი.

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართ. ამხ—სა. ვანქის დიდი ქუჩა.—ტელეფონი № 372.